02 მარტი 2023

წალენჯიხა
წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N6

2023 წლის 2 მარტს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რაისა ჩანგელია, დათო მესხია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, მანანა ჭანია

დაწყების დრო: 10:00-სთ.
დასრულების დრო: 12:30-სთ

დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ „სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი"-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **გელა თოლორაია,** .ა(ა)იპ „სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი"

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **ლანა შენგელია,** მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ის დირექტორი

3.ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი სქური"-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **ელგუჯა სონგულია,** ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრის კლუბ „სქურის" დირექტორი

მოისმინეს 1. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი"-ის ანგარიში. საკრებულოს წევრებს ანგარიში გააცნო ცენტრის დირექტორმა გელა თოლორაიამ. მან ისაუბრა ბავშვთა რაოდენობის გაზრდაზე და შესაბამისად გაიზარდა, მომსახურების ხარჯებიც. სოციალურად

...ველთა პროგრამით დასაქმებული პირების რაოდენობა შეადგენს 130 პირს. სოფლებში გაიხსნა ფრენბურთის წრეები. თანხების ეკონომია მიმართულ იქნა ინვენტარის შეძენისთვის და წრეების გახსნისკენ. წრეებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა 432-მდე. უზურფრუქტით გადაეცა ა (ა)იპ-ის მიერ დაკავებული ფართები ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც გაიხსნა კიკბოქსინგის სპორტული მოედნები.

განხორციელდა დაწესებულების ოპტიმიზაცია, თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა 10 თანამშრომლით. ამ ეკონომიით მწვრთნელებისთვის შეძენილ იქნა ინვენტარი.

კომისიის წევრებმა ა(ა)იპ „სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი"-ის ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

მოისმინეს2. „ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. (ანგარიში თან ერთვის). ანგარიში წარმოადგინა ცენტრის დირექტორმა ლანა შენგელიამ. მან საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დაქვემდებარებულ საბავშვო ბაღებში, კორონა ვირუსის გავრცელების გამო, გვიან განხორციელდა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაწყება. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში შეიქმნა და აქტიურ მუშაობას შეუდგა მონიტორინგის ჯგუფები. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს საბავშვო ბაღებში არსებული პრობლემების განხილვა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.

საბავშვო ბაღებში განსაზღვრული პროგრამით მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. აღმზრდელ-პედაგოგები ძირითადად ხელმძღვანელობდნენ თემატურ აქტივობათა კრებულით, რომელიც გამოიცა თბილისის მერიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.

აგრეთვე, დაიწყო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებში HACCP-ის სისტემის შემუშავება და დანერგვა.

კომისიის წევრებმა „ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ის ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

მოისმინეს 3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქურის" მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

[illegible] ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის [illegible] „სქურის" დირექტორმა, ელგუჯა სონგულიამ,(ანგარიში თან [illegible]). საკრებულოს წევრის მანანა ჭანიას, შეკითხვაზე-რა თანხით [illegible] ფედერაცია სქურის კლუბს, ა(ა)იპ-ს დირექტორმა უპასუხა, რომ- 150 [illegible] ლარით, რომელიც ძირითადად ფეხბურთელებთან დაკავშირებულ ხარჯებზე [illegible]-ფორმებზე, ტრანსპორტირებაზე, სასტუმროებზე, კვებაზე და ა.შ, თუმცა ეს თანხაც ხარჯებთან შედარებით მწირია. აღინიშნა, რომ როცა ბავშვთა ფეხბურთი მაღალ დონეზეა განვითარებულია, მაშინ არც ფეხბურთელთა დეფიციტი შეიქმნება მუნიციპალიტეტში. ამ პრობლემის დროული გადაჭრაა საჭირო ადგილობრივი თვითმმართველობისაგან და უნდა გაგრძელდეს ამ კუთხით მუშაობა, რათა ჩამოყალიბდეს ბავშვთა სასპორტო სკოლა მუნიციპალიტეტში.

კომისიის წევრებმა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქურის"-ის ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

ამით საკრებულოს კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/